საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/61

ქ. ბათუმი 11 ივნისი 2018 წ.

,,ბსუ-ში სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 03 მაისის №01-08/47 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მერაბ დიასამიძის 2018 წლის 08 ივნისის MES 5 18 00679898 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ში სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 03 მაისის №01-08/47 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მეორე პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტის შეფასება - 2018 წლის 11 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებ-გვერდზე - 2018 წლის 15 ივნისიდან 18 ივნისის ჩათვლით."

2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**